ცისანა აბულაძე

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

წმინდა მიწის ქართული კოლონიის ისტორიისათვის

(ოსმალური საბუთების მიხედვით)

წმ. მიწაზე ქართული სამონასტრო თემის (XVI-XIX სს-ის) ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ოსმალური საბუთები. ისინი წარმოაჩენენ საუკუნეების განმავლობაში წარმატებული თემის ტრაგიკულ ფინალამდე მისვლის მთელ პროცესს. კარგა ხანია ვმუშაობ ქართული სამონასტრო თემის შესახებ არსებულ ოსმალურ დოკუმენტებზე, რომელთა მოპოვებას იშვიათად ვახერხებდი ქართველი (ნ.შენგელია, გ.ჯაფარიძე), უნგრელი (ი.მატუცი) და ებრაელი (გ.წიწუაშვილი-უორენი) კოლეგების დახმარებით. ბუნებრივია, ექსპედიციის წევრობა ჩემთვის საოცნებო შემთხვევა იყო. იგი მასალასთან მისვლის, გამოვლენისა და მოპოვების იმედით მავსებდა. წმ. მიწაზე დავყავი 1 თვე - 2001 წლის 24 დეკემბრიდან 27 იანვრამდე.

იერუსალიმში წმ. ადგილების დასაუფლებლად სომხებისა და ფრანცისკელთა მიერ XVI ს-ის დასაწყისიდან ატეხილ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ (პ. უსპენსკი). ჩვენს კუთვნილ ეკლესია-მონასტრებს, სამწირველო და სამლოცველო ადგილებს დაეპატრონნენ ბერძნები, სომხები და ფრანცისკელები. ქვეყანაში, სადაც მექრთამეობა და კორუფცია სახელმწიფოს მართვის სისტემად იყო ქცეული, შარიათის პრინციპებზე აგებულ ცენტრალიზებული სამართლებრივი სტრუქტურის შესაბამისად, წმ. მიწის სამონასტრო თემებს შორის წარმოქმნილ ყველა სადავო საკითხს მაღალი პორტა წყვეტდა. დაინტერესებული მხარის საჩივრის ან თხოვნის პასუხად დივანი ჰუმაიუნის კანცელარიაში იწერებოდა სულთნის თუღრით დამოწმებული ფირმანი. ოფიციალური ადრესატი იყო დამასკოს სანჯაყბეგი (იერუსალიმი დამასკოს საბეგლარბეგოში შედიოდა), იერუსალიმის ყადი, იშვიათად მიუთეველი. სულთნისა და მისი კარის "სამართლიანი" გადაწყვეტილება პირად კონტაქტებზე იყო დამოკიდებული. ამიტომაც სულთნისგან სასურველი ფირმანის მისაღებად დაინტერესებული მხარე თავად მიდიოდა სტამბოლში. აქ მაღალი ჩინოსნების თანადგომითა და მდიდარი ძღვენით მოპოვებული სიგელი ხშირად მასვე მიჰქონდა და ინახავდა საკუთარი სამონასტრო თემის ცენტრში, რათა საჭიროებისას ფირმანით დაედასტურებინა ოფიციალურად მინიჭებული უფლებები. ამიტომ ოსმალობის ხანის იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის საბუთები უნდა დაგვეძებნა ბერძნული საპატრიარქოს, სომხური საპატრიარქოს და ფრანცისკელთა კონვენტის არქივებში. გარდა ამისა, სამონასტრო კერების სადავო საკითხები ხანდაზმულ, მცოდნე პირთა (ქართული საბუთების "მახსოვარ კაცთა") დასწრებით ირჩეოდა შარიათის სასამართლოში, რომელთა ჰუჯათები მრავლადაა ჩვენამდე მოღწეული. ასე რომ, ქართული სამონასტრო თემის ისტორიის მასალები უნდა დაძებნილიყო შარიათის სასამართლოს არქივშიც. მაგრამ მარადიული ქალაქის ძველ ნაწილში დრო უძრაობასთან არის წილნაყარი. ისე გეტყვიან ორი კვირის შემდეგ მობრძანდითო, თითქოს 15 წუთზეა საუბარი. არქივებში მცველს შემცვლელი არა ჰყავს. თუ ავად გახდა, ან ქალაქგარეთ წავიდა, თვეობით შეიძლება დაგჭირდეს ლოდინი. სწორედ ამ მიზეზით

1. სულეიმან კანუნის მიერ 1561 წ. გაცემული ფირმანი სვეტის, იგივე იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა მონასტრის ფრანცისკელთათვის გადაცემის თაობაზე

ვერ მოხერხდა სომხური საპატრიარქოსა და შარიათის სასამართლოს (აქ სხვა მიზეზებიც გამოჩნდა) არქივებში მასალის ნახვა. უკეთესი ვითარება არც ბერძნული საპატრიარქოს არქივში დაგვხვდა.

იერუსალიმის ქართული თემი, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიაში დროებით თუ ხანგრძლივად მოხვედრილი ყველა მართლმადიდებელი, "ურუმ მილიეთად" ირაცხებოდა და ბერძნულ საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და სხვა ერების სამონასტრო კერებთან ურთიერთობის წერილობით დამადასტურებელი მასალა დაცულია ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომლების თ. ცერაძისა და ე. დუღაშვილის დახმარებით გავეცანი აგამემნონ ცელიკასის მიერ ათენში 1992 წელს გამოცემულ კატალოგს – (Αγαμεμνονος ταελικα. Καταγραφη τον αρχειου τον πατριαρχειοο Ιεροσαλομων). გაირკვა, რომ ბერძნული საპატრიარქოს არქივში ინახება 140-ზე მეტი საბუთი, რომელშიც ასახულია ქართული თემის ისტორია და ყოფა. ბევრი საბუთი ეხება ქართველთა მიერ ვალისა და ჯარიმის გადახდა-გადაუხდელობას. ასეთია 1541, 1578, 1610, 1683-89, 1693, 1694, 1714 წლებით დათარიღებული ოსმალური ფირმანები და ჰუჯათები (ალბათ, არაბულ-ენოვანი). მტკიცდება, რომ ქართველებს ვალი არა აქვთ. 1660, 1684, 1686, 1688 და 1695 წლებში სულთნის მიერ გამოცემული ფირმანები და ადგილობრივი მოხელეების ჰუჯათები და თეზქერეები არის ნებართვა ქართული ეკლესია-მონასტრებისა და ქართველთა კუთვნილი 2 სახლის გამაგრება-აღდგენისათვის. 1612, 1645 და 1665 წლების ფირმანებით სულთანი თანახმაა ქართველებმა გააშენონ ვენახი და შეარჩიონ საცხოვრებელი ადგილი. 1538, 1540, 1617, 1605 წლებში გამოცემული ჰუქმები ეხება ქართველებისა და ფრანცისკელების დაპირისპირებას გოლგოთის გამო. სამონასტრო ნივთებზეც ჰქონიათ ქართველებსა და სომხებს დავა იხ. IV A 79 (1843 წ.) 1684 წლის ჰუჯათით 4 A 170, ქართველებს ავალდებულებენ იგალობონ და, საერთოდ, საეკლესიო რიტუალები შეასრულონ ბერძნებთან ერთად. 1541 წლით დათარიღებული საბუთით (VII B) ქართველი პილიგრიმები თავისუფალი არიან გადასახადისაგან. 1590 წლით დათარიღებულ (VII B 7, 122) საბუთში საუბარია კვიპროსზე ქართველთა კუთვნილი ვაკუფების შესახებ. კატალოგის მიხედვით, ბიბლიოთეკაში დაცული ჩანს ოსმალო სულთნების (მათ შორის სელიმ I-ის) მასშტაბური სიგელები. მათ ჩვენი სპეციალისტები იცნობენ და იყენებენ ბერძნულიდან გადმოღებული რუსული თარგმანებით (ППС, т. XIX, Санкт-Петербург, 1904 г.). მაგრამ თარგმანის თარგმანი ხშირად ეჭვს ბადებს და დედნის ნახვის დიდ სურვილს აღძრავს. სამწუხაროდ, ბერძნული საპატრიარქოს მესვეურებმა ამჯერად აღნიშნულ მასალაზე მუშაობის უფლება არ მოგვცეს. მე ხელთა მაქვს ქ-ნ თ. ცერაძის მიერ რამდენიმე წლის წინათ ხანგრძლივი მივლინების დროს მოპოვებული ერთი დოკუმენტის ქსეროპირი. ეს არის სულთანთან პატრიარქ დოსითეოსისა და მისი ბერებისაგან გაგზავნილი არზის პასუხად მჰმედ IV-ის (1648-87) მიერ 1686 წლის დასაწყისში გაცემული ფირმანის ასლი. ასლის სიზუსტე დამოწმებულია შარიათის სამხედრო სასამართლოს ჩინოვნიკის المعمور الشرعيه العسكريه, ვინმე ჰუსეინ ბ აჰმედის მიერ. ფირმანით ბერძნულ საპატრიარქოს უფლება ეძლევა შეაკეთოს და ამით დანგრევას გადაარჩინოს მდ. კედრონის პირას წმ. საბა, იერუსალიმის ფარგლებს მიღმა ქართველების კუთვნილი წმ. ჯვარი და მასზე დაქვემდებარებული,

2. უფლის საფლავის ეკლესიის შესახებ 1555 წელს გაცემული ფირმანის პირი.

იერუსალიმის შიგნით მდებარე, წმ. ნიკოლოზი, წმ. ბასილი, წმ. ანა (თუ თეკლა, ძნელი გასარჩევია), წმ. თევდორე (ტექსტში შეცდომით წმ. მარტირიოსი წერია) და უფლის საფლავის ეკლესიები, მით უფრო, რომ ბერძნებს საამისოდ შეგროვილი ჰქონიათ ფული და შემოწირული ნივთები (ალბათ, საქართველოში აკრეფილი. ც.ა.). ფირმანი საკმაოდ ვრცელია, საუბარია სამუშაოთა ჩატარების ხელშემშლელ პირობებზე, რომელსაც სხვა რელიგიის მსახურნი უქმნიან მათ. ტექსტი, ქართული თარგმანითა და კომენტარებით თითქმის მზადაა გამოსაცემად.

პირდაპირ ნეტარება იყო ფრანცისკელთა ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობა. ფრანცისკელთა ისტორიულ არქივში – კუსტოდია დი ტერრა სანტა – დაცულია არაბულ და ოსმალურ ენებზე დაწერილი 2644 საბუთი.[1] აქედან 454 ოსმალო სულთანთა სიგელია, ქრონოლოგიური ჩარჩო 1519-1902 წწ. დანარჩენი კი არის ფირმანების შემავსებელი საბუთები, მეტწილად ჰუჯათები.[2] არქივში დაცულ ფირმანთაგან ოცამდე ერთეული აღმოჩნდა ქართული სამონასტრო თემის ისტორიისათვის საყურადღებო. ფირმანები - №135 (1559 წ.), №139 (1559 წ.), №145 (1561 წ.), №160 (1564 წ.), №184 (1579 წ.), №212 (1596 წ.), №298 (1631 წ.), – სვეტის, იგივე ამუდის ქართული მონასტრის ფრანცისკელებისათვის გადაცემის ხანგრძლივ პროცესს წარმოგვიდგენს. აქაა უსუსური მტკიცება იმისა, რომ იოანე ღვთისმეტყველი, იგივე ამუდი, მუდამ ფრანცისკელებისა იყო. მაგრამ, იმავე ფირმანებში აი რა წერია: 1551 წელს, როცა ფრანცისკელებს დაატოვებინეს სიონი, საფრანგეთის ელჩმა მოახერხა და სულეიმან კანუნიმ მათ ნება დართო სანაცვლოდ შეერჩიათ ადგილი. მათ შესთავაზეს უფლის საფლავი ან ბეთლემი, რაზედაც ადგილობრივმა ხელისუფლებმა უარი უთხრეს, რადგან ბეთლემი შორს იყო, უფლის საფლავი კი – მოსალოცავად ჩამოსული პილიგრიმების წყალობით, დიდი შემოსავლის წყარო. შესაფერი ადგილის საპოვნელად ქალაქი დაათვალიერეს. ნახეს, რომ მრავალი ეკლესია ქართველთა ხელშია და ყველა ცარიელია, მათ შორის ამუდის მონასტერში არის მხოლოდ 3 ქალი. სულთანმა ბრძანება გამოსცა ფრანცისკელების აღნიშნულ მონასტერში დამკვიდრების თაობაზე. მაგრამ ქართველები ასე იოლად ხომ ვერ დათმობდნენ V ს-დან მათ კუთვნილ მონასტერს – "არ უკარგავენ ქართველთა საძმოს სხვა უსჯულო წევრებს". მომდევნო წლებში გაცემულ ფირმანებში ჩნდება ახალ-ახალი მტკიცებანი ფრანცისკელთა სასარგებლოდ.

იტალიურ და ფრანგულენოვან წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ 1559 წელს ფრანცისკელთა წინამძღვარმა ბონიფაციუს სტეფანე რაგუზელმა ქართველებისაგან შეიძინა ამუდის,

3. გოლგოთის გამო ქართველებისა და ფრანცისკელების დავის გადასაწყვეტად სულეიმან კანუნის მიერ 1541 წელს გაცემული ჰუქმი შიქაღეთი.

იგივე იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია და უწოდეს მას სალვატორე – მხსნელის, მაცხოვრის ეკლესია.[3] მომდევნო წლებში ისევ ქართველებისაგან 80 ფლურად შეისყიდეს მონასტერთან მდებარე სახლი და ბაღ-ვენახი. ფრანცისკელებმა სულთნის ნებართვით მრავალჯერ შეაკეთეს და გადააკეთეს მონასტერი. მაგრამ XIX ს-მდე, ვიდრე სულ არ დაანგრიეს იგი და ახალი ააშენეს (პატარა იყო და არ შეეფერებოდა დიდ კონგრეგაციას) ვერ წაშალეს ქართული არქიტექტურის კვალი. ეს დიდებული ტაძარი მდებარეობს ძველ ქალაქში ახალ კარიბჭესთან. იქ მცხოვრებმა ნებისმიერმა მოქალაქემ იცის, რომ იგი ადრე ქართველებისა იყო.

№86 (1528 წ.), №95 (1541 წ.) და №102 (1545 წ.) ფირმანებით ფრანცისკელებისა და ქართველების დავას გოლგოთის გამო სულთანი აშკარად მიკერძოებით წყვეტს ფრანცისკელთა სასარგებლოდ: "არ მისცეთ უფლება ქართველებს წაართვან ფრანცისკელებს მათი კუთვნილი ადგილი და ის საბუთები, რომლითაც ფლობენ მას (1528 წ.). ქართველებს არ მისცეთ უფლება ედავონ ფრანცისკელებს (1541 წ.), უფლის საფლავის ეკლესიაში, კალვარის სახელით ცნობილი ადგილის ნახევარი ეკუთვნის ფრანცისკელებს, მეორე ნახევარი ქართველებს. ადრე განსაზღვრული იყო საზღვარი. ახლა ქართველები ამ საზღვარს გადადიან და ფრანცისკელთა კუთვნილ ნაწილს იკავებენ – გააძევეთ ქართველები" (1576 წ.). იტალიური მასალით საპირისპირო სურათი ჩნდება: მღვდელი ფრანჩესკო მალერბე პაპი კლიმენტი VII-თან გაგზავნილ რელაციაში (XVI ს.) წერს: "ქართველები გასულ წელს ისეთ გაჭირვებაში ჩავარდნენ, რომ თითქმის გადაწყვიტეს ხსენებული სამლოცველოს გაყიდვა. მე დარწმუნებული ღვთის შეწევნასა და თქვენი უწმინდესობის გულმოწყალებაში, ყველა ღონე ვიხმარე რათა ისინი იძულებულნი გამხდარიყვნენ გაეყიდათ იგი. შევთავაზე მათი ყველა ვალის გადახდა, რაც 10 ათას ცეხინს აღწევდა, მაგრამ ვერ დავითანხმე. მაშინ დავიწყე ფიქრი, უფრო იოლი ხომ არ იქნებოდა მისი მიღება თვითონ სულთნისაგან უქრისტიანესი მეფისა და ვენეციის რესპუბლიკის მეშვეობით".[4] ასეც მოხდა. ანალოგიური შემთხვევა სხვაც ბევრია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანცისკელთა არქივში დაცული ოსმალური სიგელები მათ უფლებებსა და ინტერესებს გამოხატავს. მხოლოდ 1547 წლით დათარიღებული ფირმანი შეახსენებს ფრანცისკელებს ქართველი და სხვა ქრისტიანი პილგრიმების უფლებებს. ტრადიციულად უფლის საფლავის ეკლესიაში კანდელის ანთების უფლება მხოლოდ ბერძნებს, ქართველებსა და ფრანცისკელებს ჰქონიათ. სომხებს ეს წესი დაურღვევიათ, რითიც სხვა ქრისტიანი თემების ბერები შეუწუხებიათ. №256 (1618 წლისა) ფირმანი სომხებს მსგავსი საქციელის ჩადენას უკრძალავს. დღეს კი გარდამოხსნასთან დანთებული რვა კანდელიდან 2 სომხებს ეკუთვნის.

საბუთების უმეტესობა "ჰუქმი შიქაჲეთია". შესრულებულია დივანისებური რიკათი ან დივანისებური ნასხით. მხოლოდ 1561 წელს (№145) გაცემული სიგელი არის დაწერილი მოხდენილი დივანი ჯელისით. თუღრაც მხატვრულადაა გამოყვანილი ყვავილოვანი ორნამენტების ფონზე, ტექსტიც შემკულია სიმეტრიულად განლაგებული ფერადი წრეებით.

თარგმანებსა და საცნობარო ლიტერატურაში დაშვებული არა ერთი შეცდომა – რაობა, თარიღი, ქართველთა მოხსენიება-არმოხსენიება – სასურველს ხდის (თუ შესაძლებლობა იქნება) სპეციალისტი თვითონ მივიდეს დანარჩენ მასალასთან, ოსმალური დოკუმენტებისათვის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ აიღოს XVI-XVIII საუკუნეები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1. Eutimio Castellani, Catalogo dei Firmani ed altri documenti legali in lingua araba e turca concernent, Santuari ie proprieta i diritti della Custodia di Terra Santa conservati nell' Archivio della stessa Custodia in Cerus a lemme, 1922.

2. ქართული სამონასტრო თემის ისტორიისათვის ცნობების შემცველ არაბულენოვან ჰუჯათებს ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანს გ. ჯაფარიძე. ახლახან მან გამოაქვეყნა ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი უაღრესად მნიშვნელოვანი ორი საბუთი, გაცემული სულთან ბარკუკის (1382-1399) მიერ 1388 და 1396 წლებში. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 9, თბ., 2002 წ., გვ. 666-680.

3. Serie Cronologika - Nucova Serie Compilata dal P. Girolamo Golubovich, იერუსალიმი, 1898 წ.

4. Documentos J textos para la Historia de Terra Santa y sus Santuarios, იერუსალიმი, 1970, გვ. 93.